აღინიშნა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორები მაღალი კვალიფიკაციის არიან, მათაც აქვთ პრაქტიკის განხორციელების საშუალება და სირთულე არ უნდა იყოს. ეს ძირითადი, საკითხები დანარჩენი ყველა შენიშვნა იყო გათვალისწინებული. არჩევითი საგნები საკმარისი რაოდენობის არის სხვა ფაკულტეტებზეც შეუძლიათ აირჩიონ.
ექსპერტმა სალომე საბიაშვილმა დაამატა, რომ მთლიანობაში ყველა რეკომენდაცია გათვალისიწნებულია, ერთადერთი პრაქტიკული კურსის ჩამატებას ისურვებდა და ასევე ერთი ფორმით სტრუქტურირებას პერსონალის CV-ების.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ხომ რჩევას გულისხმობდნენ ამაში და ექსპერტები დაერთანხმნენ.
პროგრამის ხელმძღვანელმა თინა ჩხეიძემ განმარტა, რომ პრაქტიკულ კომპონენტზე სიახლეებია, პროგრამა ორი წელია არსებობს პირველ წელს ზოგადი საგნებია და შემდეგ ძირითადი და თვლიან, რომ მესამე კურსიდან უნდა იწყებოდეს პრაქტიკა. პრაქტიკა არის მნიშვნელობვანი იმ თვალსაზრისით, რომ პრატიკული საქმიანობა იყოს პროგრამის ძირითად მიზნებთან დაკავშირებული და არ გულისხმობდეს ნებისმიერი სახის პრაქტიკას.
მიზნებში წერია კვლევის მეთოდების პრაქტიკული და თეორიული ცოდნა რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ფაქტიურად ეძებენ ისეთი დაწესებულების მოძიებას, სადაც გავლილი პრაქტიკა რეალურად გამოყენებადი იქნება. ასევე, აქვთ მემორანდუმი ერთ-ერთ კვლევის ცენტრთან, სადაც ხელშეკრულებით იქნება ვალდებულება, რომ სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული პრაქტიკა პასუხობს ძირითად მოთხოვნებს.
ასევე, აღინიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ HR-ის და მენეჯმენტის მანდატურის სამსახურიდან გამომდინარე პრაქტიკა, თუმცა ზემოაღნიშნულ ცენტრთან ვისთანაც მემორანდუმი გაფორმდება უკვე სტუენტებისთვის სავალდებულო იქნება პრაქტიკის გავლა.
დეკანის მოადგილემ მანანა გაბაშვილმა დაამატა, რომ პრაქტიკის შესახებ იყო რჩევა და არა რეკომენდაცია, მიუხედავად ამის მათ მაინც გადადგეს შესაბამისი ნაბიჯები ამ მიმართულებით. აღნიშნული ასევე პროგრამის კონცეფციიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყვიტა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

10. მეათე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 13 ივლისის N78 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი N13 კმ N2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლარისა პატარაიამ განმარტა, რომ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია აქვთ.

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება.

აღნიშნული გამომდინარეობს დარგის სწრაფად განვითარებადი სპეციფიკიდან. სულ რაღაც 4 რჩევა აქვთ. კერძოდ,
1. სტუდენტების აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობის მოტივაციის ასამაღლებლად გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები (მაგალითად გრანტის მოპოვების ან შენარჩუნების ერთ-ერთ კომპონენტად განისაზღროს აკადემი უ რ კონფერენციებში მონაწილეობა);
2. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტიდან მეტი თანხა იყოს გამოყოფილი წიგნების შესყიდვაზე, რაც გავლენას მოახდენს სილაბუსებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოებზე და სწავლის პროცესში გამოიყენება განახლებული, თანამედროვე ლიტ ერატ უ რა;
3. სასურველია, პროგრამის ბ ი უ ჯ ე ტ ი სრულად ითვალისწინებდეს ისეთ ხარჯებს, როგორიც არის ადმინისტრაციული, მარკეტინგული და სხვა ხარჯი), რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის ფინანსური პერფორმანსის სრული შეფასება;
4. სასაურველი, სტუდენტების აქტიური და პირდაპირი ჩართუ ლობა თვითშეფასების ჯგუფში.
აღინიშნანა ასევე, რომ საქმიანობა წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უნივერტეტის წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს კოლეგიალური და პროფესიული ურთიერთობისთვის. რთულ პერიოდში პროფესიონალურ დონეზე პროცესების ჩატარებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერტეტი აკადემიური პერსონალისგან იღებს მოთხოვნებს და საჭირო ლიტერატურის განახლება რეგულარულად ხდება. სწორედ აკადემიური პერსონალისგან მოთხოვნის საფუძველზე ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევხება, აღნიშნულთან დაკავშირებით გაითვალისწინებენ ექპერტების მოსაზრებებს.
ბიუჯეტთან დაკავშირებით მარკეტინგულ ხარჯთან აღინიშნა, რომ იმიტომ არაა ცალკე გაწერილი, რომ ცალკე არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მუშაობს პროგრამისს პრომოციასთან დაკავშირბებით, არა მხოლოდ ამ პროგრამასთან არამედ სხვა პროგრამებთან მიმართებითაც. ლიტერატურის განახლება განხორციელდება, უნივერსიტეტს გვერდში დგომა ჭირდება და პროფესორებმაც უნდა თარგმნონ ლიტერატურა. ისინი, სისტემატურად ახდენენ ბიუჯეტში თანხების გამოყოფას, მენეჯმენტში ლიტერატურა ყოველწლიურად უნდა განახლდეს, ეთანხმებიან აღნიშნულს და ბიუჯეტში აქვთ ამისთვის თანხები გამოყოფილი.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ რამოდენიმე რჩევა - რეკომენდაცია მისცა დაწესებულებას, პირველი ეხებოდა ბიზნესის საფუძვლებს - საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს უნდა მოიცავდეს ყველა ძირითად სფეროს, რომელსაც ბიზნესთან აქვს შეხება. მეტნაკლებად ყველაფერი აქვთ, მაგრამ არ აქვთ ფინანსები, ფინანსების გარეშე ბიზნესი არ შეიძლება. ჯობია, რომ ფინანსებსაც მოიცავდეს.

რაც შეეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანს - შინაარსი ნორმალურია, მაგრამ სათაური ბოლომდე შესაბამისობაში არ არის. ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო ფართოა და არ მოიცავს მხოლოდ კომპიუტერულ პროგრამებს, შესაბამისად მიზანშეწონილია სათაური შეიცვალოს.
ასევე, რაც შეეხება ბიზნესის სამართლებრივი გარემოს - ბევრი საკითხია ჩამოწერილი, რაც ეჭვქვეშ აყენებს როგორ იქნება მოსწრებადი. უმჯობესი იქნება სილაბუსი გაამარტივონ და პატარა მოცულობის იყოს, საათობრივი დატვირთვა მწირია საკითხები კი დიდი.
ასევე, თხოვნა აქვს გადახედონ საგნების დაშვების წინაპირობებს და რომელი საგანი რომელი საგნის პრერეკვიზიტია. მაგალითად, მენეჯმენტის საფუძვლებს არ აქვს პრერეკვიზიტი, ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების პრერეკვიზიტია ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ამ ლოგიკით მაშინ ფინანსების საფუძვლებიც უნდა ჰქონდეს. მენეჯმენტის საფუძვლებს მიზი აზრით ბიზნესის საფუძვლები უნდა ჰქონდეს წინაპირობად. შესაბამისად ბიზნესის საფუძვლები აღარ უნდა იყოს სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობა.
რადგან პროგრამა ბიზნესის მიმართულებით არის მაშინ მეტ ყურადღებას დაუთმობდა კორპორაციულ ფინანსებს. რადგან ბიზნესზეა აქცენტი ერთი საგანი აქვთ, მაგრამ მწირია მეტი საათები სჭირდებათ ან მეტი სიღრმისეული გარჩევა. ყველა საგანზე რაც შეიძლება მეტი პრაქტიკულები დავალება უნდა ჩართონ.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა დასვა კითხვა, კერძოდ კურიკულუმის რუკას, რომ გადახედა ბოლო შედეგზე გადის მხოლოდ პროგრამის ორი კომპონენტი პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი. თუმცა სასწავლო გეგმაში არის საგნები რომლების დაკავშირება მართლა შეიძლება გაცნობის ან გაღრმავების დონესთან. თუნდაც შეიძლება ბიზნეს ეთიკა, პროექტების მართვა-ავტონომიურობასთან დაკავშირება. როგორ ფიქრობენ ამ უნარის განვითარება - პასუხისმგებლობა, ავტონომურობა მხოლოდ და მხოლოდ ამ ორი კომპონენტით არის შესაძლებელი თუ შეიძლება გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შედეგი და მოხდეს ბმა ამ შედეგთან ?
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ბევრი აქვთ ნაფიქრი, შეჯერებულად როგორც ლექტორებთან ასევე ხარისხის სამსახურთან. ამისთვის მათ ლექტორებისგან მხარდაჭერა ჭირდებოდათ, რომ მათი საგნები ამ შედეგზე გავიდოდა. მაგრამ არ აძლევდა საშუალებას საგნების სიღრმე, რომ ასე ჩაეწერათ, ფიქრობენ რომ მაგალითად ეთიკა გააძლიერონ და გაიყვანონ ამ შედეგზე. მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერი კომპონენტები პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომია. მადლობა ამ მოსაზრებისთვის და მომავალში შეიძლება გადახედონ.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა იკითხა, რომ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს შეუძლია აიღოს 50 კრედიტის ფრგლებში საგნები, ეს შესაბამისობაშია კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მაგრამ ხომ არ ჯობს გამჭირვალობისთვის დაკონკრეტდეს მინიმალური კრედიტების რაოდენობა. ეს მისი შეფასებაა და არ არის არც რჩევა და რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია ამ საკითხის დაკონკრეტებაც თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა უკვე განსაზღვრავს მინიმალური კრედიტების რაოდენობას აქ არ აქვთ დაკონკრეტებული. ეს განპირობებულია იმით, რომ სტუდენტმა თავისუფლად აირჩიოს და დაიკმაყოფილოს ინტერესი. ზოგადად კრედიტების რაოდენობა განპირობებულია იმით, რომ აირჩიოს და დაიკმაყოფილოს სასწავლო ინტერსები. სტუდენტები გაცვლით პროგრამებში იღებენ მონაწილეობას იქ ირჩევენ მათი ინტერესის საგნებს. ასევე, სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში განსაზღვულია კანონმდებლობის შესაბამისად და იქ შეუძლიათ სტუდენტებს, რომ ნახონ.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ თუ რეგულირების წესში უწერიათ აღნიშნული კი ვებ გვერდზე აქვთ და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის შესაბამისად პრობლემა არაა.

პროგრამის ხელმძღვანელმა რამდენიმე არგუმენტზე ისაუბრა სხდომაზე მიღებულ რჩევებთან, რეკომენდაციებთან მიმართებით. ბიზნესის სამართლებრივ გარემოსთან მიმართებით განმარტა, რომ ლექტორთან კომუნიკაციით თემატიკა შემცირებულია, თუმცა ისევ გაივლის ამ საკითხს და შეამცირებენ.
საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ ამ საკითხთან მიმართებით საკმაოდ კრიტიკულია. ამ საგანში რაც ხდება კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თხოვნა იქნება და რჩევაშიც ჩაიწერება, რომ ეს საგანი ან ამოღებული იყოს ან ფორმა შეეცვალოს. არ შეიძლება ერთ საგანში ისწავლებოდეს ის რაც 6 წლის განმავლობაში სწავლობენ იურისტები.
საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ბიზნესის სამართლის საფუძლები ზოგადად ისწავლება. აქ არის საუბარი მოცულობაზე. საფუძვლები ყველა პროგრამაში არა, მაგრამ სავალდებულოც უნდა იყოს, სჭირდება მენეჯერს, რეგულირების საფუძლები მაინც. აქ ორ საკითხზეა ყურადღება, ლექტორის კომპეტენცია არაა კითხვისნიშნის ქვეშ ზოგადად, აღნიშნული დგას საგანთან მითითებით, რადგან ლექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით არის სპეციალისტი. ხოლო როგორც წესი ბიზნეს სამართალის საფუძვლებს კერძო სამართლის სპეციალისტები ასწავლიან. მეორე, საუბარია მოცულობაზე თემატიკის, საფუძლები გულისხმობს, რომ შესავალი უნდა იყოს ყველა მიმართულობით, ამ შემთხვევაში ლოგიკური იქნება თუ გადაიხედება თემატიკის მოცულობა.
ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ ასევე აქ საუბარია საკითხების დუბლირებაზე. ერთმანეთს იმეორებს საკითხები, ტერმინებს შორის არის პრობლემა, კორპორაციაა თუ კორპორატია? ეს უნდა იცოდეს სპეციალისტმა, არსებობს სერვიტუტი და არა სარვიტუტი. ამ საგნიდან უნდა იყოს ამოღებული ზედმეტი საკითხები და კონცენტრირებული იყოს იმაზე მხოლოდ რაც მენეჯერს დასჭირდება. მაგალითად, უნდა ისწავლებოდეს ისეთი საკითხები როგორიც არის ბიზნეს კონტრაქტები ასევე, როგორ უნდა დაიდოს კონტრაქტები, ამ უნარჩვევების გამომუშავება მნიშვნელოვანია. ლიტერატურაც კრიტიკას ვერ უძლებს, კანონი არაა ლიტერატურა. ასევე, ლიტერატურა არ პასუხობს იმ საკითხებს რაც არის დასმული. სამართლის ნორმა და ფილოსოფია მენეჯერს არ სჭირდება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეცდებიან ეს შუალედური პოზიცია გაიზიარონ და თუ საჭიროა საგანი შეცვალონ და შესაბამისად ჩამოაყალიბონ.
ირაკლი ბურდულმა კვლავ გაამახვილა ყურადღება, რომ მნიშვნელოვანია ერთი ბიზნესის განხორციელების ფორმები იცოდეს მენეჯერმა და მეორე, კერძოსამართლებრივი კონტრაქტები.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გაითვალისწინებენ და გაივლიან აღნიშნულს საგნის ლექტორთან.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ფინანსების გაძლიერებაზე ორი საგანი აქვთ, ბევრი საკითხი, ფულის არსი ფილოსოფიურ ეკონომიკური საკითხებია. აქცენტის გაკეთება უმჯობესია პრაქტიკულ ნაწილზე.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ არჩევითში აქვთ მენეჯერული ფინანსები 2.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ სტრუქტურა კარგია, კარგი იქნება საათები ეფექტურად გამოიყენონ.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მენეჯმენტის საფუძვლების წინაპირობასთან დაკავშირებით ლოგიკა მათი იყო, რომ სილაბუსი აგებულია ისე, რომ აქცენტი მენეჯერულ უნარებზეა და თავისუფალი კრედიტების ფარგლებში მენენჯმენტის საფუძველი სხვა პროგრამის სტუდენტებსაც შეუძლიათ აირჩონ. ამის გამო არ შეზღუდეს წინაპირობებით.
გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ესმის, რომ ადმინისტრირების თვალსაზრისით მოსახერხებელია, მაგრამ შეიძლება განსხვავებული ცოდნის სტუდენტების პირობებში ამან პრობლემა გამოიწვიოს.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დეტალურად იმუშავეს და ნაწილობრივ ეთანხმებიან მოსაზრებებს. მაგალითად სამართლებრივი კუთხით ვერ შეეწინააღმდეგებიან.

მაგრამ ბატონი გიორგის მოსაზრებასთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ ეს არის ინდივიდუალური და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასე უფრო მოსახერხებელია, როცა ერთდროულად მიდის სწავლება ბიზნესის საფუძლების და მენეჯმენტის საფუძვლების.
პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ აქ საუბარია, რომ ბიზნესის საფუძვლები არის სპეციალობაში შემყვანი კურსი, რომელიც ძირითად მიმართლებას აძლევს სტუდენტს, აქედან გამომდინარე ის უქმნის წარმოდგენას სხვა შემდეგ საგნებზე. ან უნდა იყოს ისეთი ზოგადი, რომ კონკრეტულ მიმართულებას არ ეხებოდეს, მაგრამ თუ მოიცავს მაშინ ფინანსები არ უნდა დავუტოვოთ ცალკე.
ამაში ეთანხმებიან დააზუსტა დაწესებულების წარმომადგენელმა. აქ დააზუსტა, რომ წინაპირობებზე საუბრობდა.
პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ გასაგებია აღნიშნული, გულისხმობს, რომ რამდენადაც ეს არის შესავალი და აძლევს საფუძვლებს აქედან გამომდინარე არის ლოგიკური, რომ იყოს შემდეგი საფეხურების წინაპირობა.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეთანხმებიან ამ ნაწილში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:
ა) რეკომენდებულია სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება;
ბ) გადაიხედოს საგნებზე დაშვების წინაპირობები;

რჩევა
გადაიხედოს საგანი ბიზნესის სამართლებრივი გარემო და დროის ფაქტორისა და რელევანტურობის გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს თემატიკა.

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის

შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დატოვა სხდომა.

11. მეთერთმეტე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მარკეტინგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 10 აგვისტოს N103 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი N13 კმ N2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე.

1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გაძლიერება ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსებით როგორიცაა: კორპორაციათა ფინანსები, პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR. ამასთან, პროგრამაში არჩევითი კურსების სახით უკვე არის პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR სასწავლო კურსები და შესაბამისად საჭირო იქნება მათთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მინიჭება; რადგან ოროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაა ამიტომ მნიშვნელოვანია ეს რეკომენდაცია.
2. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით დაკორექტირდეს კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი პროგრამაში და სილაბუსებში. მაგალითად, სასწავლო კურსში ,,სოციალური მედიის გამოყენება“ - წინაპირობად სილაბუსში განსაზღრულია ,,ელექტრონული კომერცია“ (ამ სახელწოდებით სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული პროგრამაში), სასწავლო კურსი ,,ნეირომარკეტინგი“-სილაბუსში წინაპირობა არ არის განსაზღვრული;
3. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით (მაგ. მარკეტინგული ქეისები და ანალიზი, პროფესიული წერა და ა.შ.) გადაიხედოს სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების სილაბუსებში მონიშნული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკასთან.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ბიზნესის სტრატეგია“ სახელწოდება კურსის შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს როგორც „სტრატეგიული მენეჯმენტი“;
5. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად იყოს წარმოდგენილი მისი დაფინანსების ყველა წყარო და გასაწევი ხარჯების სრული მოცულობა;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 1-ლი რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა დანარჩენებიც მნიშვნელოვანია პროგრამის სრულყოფისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რადგან პროგრამის რეაკრედიტაცია ხორციელდება, გაითვალისიწინეს წინა ესპერტების რეკომენდაციები, ჩაატარეს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე დაამატეს სხვა ცვლილებების მათ შორის სხვა ტიპის სასწავლო კურსები. ექსპერტების რეკომენდაციები გააძლიერებს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებას და იზიარებს რეკომენდაციას. აქვთ ორი სილაბუსი არჩევით საგნებში, მესამე სილაბუსიც აქვთ და ისწავლება. აქვთ ფინანსების სამაგისტრო პროგრამაც და თვლიან პროგრამა სავალდებულო საგნების კუთხით მსუყედ წარმოდგენილია. ორი სასწავლო კურსი დამატებული იყო სტუდენტების მოთხოვნით, შეთავაზებული იქნება და გადავა არჩევით კომპონენტში.
რაც შეეხება მეორე სასწავლო კურსს, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით იზიარებენ მოსაზრებას, რომ გარკვეული ტექნიკური შეცდომები არის წარმოდგენილ სააკრედიტაციო პაკეტში. პანდემიის დროს გამოიგზავნა და ამანაც მცირედი ზემოქმედება მოახდინა. მაგალითად ელექტრონული კომერციაა მითითებული და ელექტრონული ბიზნესი უნდა იყოს. მსეჯელობა დიდ ხანი მიმდინარეობდა სასწავლო კურს დარქმეოდა ელექტრონული კომერცია თუ ელექტრონული ბიზნესი. საბოლოოდ ელექტრონული ბიზნესი გადაწყდა, მაგრამ სილაბუსში ჩარჩა ეს დასახელება და ამას აუცილებლად გამოასწორებენ. სწავლის შედეგების ასახვას ეთანხმებიან ამ მოსაზრებას აქაც არის ტექნიკური შეცდომა მონიშნული არ არის ცოდნა გაცნობიერების უნარი, რომელიც სილაბუსში ნამდვილადაა პროგრამის სასწავლო გეგმაში არაა მონიშნული. რაც შეეხება სტრატეგიულ მენეჯმენტის სახელთან დაკავშირებით, ამ სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორთან მოხდა შეთანხმება, რომ ეს სასწავლო კურსი შინაარსით უფრო არის სტრატეგიული მენეჯმენტი და ასეც დაერქმევა.
ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ესპერტთა ვიზიტის დროს ამაზე ისაუბრეს. ბუნებრივია პროგრამების მიხედვით აქვთ ბიუჯეტი, თუმცა იმ შემთხვევაში, როცა დამატებითი სახსრებია საჭირო ცენტრალიზებულ ბიუჯეტს იყენებენ და

დეტალურად ჰქონდათ გაწერილი კონფერენციებს როგორ დააფინანსებდნენ, აფილირებულებს რამდენს გამოუყოფდნენ. ფინანსურად უზრუნველყოფილია პროგრამა, ანუ არის მდგრადი.
დასკვნაში მითითებულია პროგრამის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სულ რაღაც 800 ლარი განსხვავება, ეს გამოწვეულია იმით, რომ ჰყავთ 8 მეორე კურსელი სტუდენტი, არ ჰყავთ პირველ კურსელი. უნივერტეტმა არ შეამცირა პროგრამის ხარჯები იმის გამო, რომ შემოსავალი მეტი არაა. ამავე დროს საჭიროების შემთხვევაში პროგრამა უზრუნველყოფილია და მითითებულია, რომ პროგრამა არის მხარდაჭერილი ფაკულტეტის და უნივერტეტის შემოსავლებიდან. მათ შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში დაწვრილებით ჩაშალონ. უბრალოდ მათი მოსაზრებით ეს აძლევდა ფაკულტეტს მეტ თავისუფლებას გადაანაწილოს თავად სახსრები და არ დაჭირდეს უნივერტეტის ადმინისტრაციასთან დამატებით ამის გავლა. ხარჯებში ჩაშლის შემთხვევაში გადამტკიცების პროცედურების ორგანიზება იქნება საჭირო. თანხმობა იქნება, მაგრამ დამტკიცების საფეხურები დაემატება. ასევე, წინა აკრედიტაციასთან შედარებით ეს ხარჯები გაზრდილი აქვთ.
საბჭოს წევრმა გიორგი თუქრიამ განმარტა, რომ ცალსახად ეთანხმება, რომ პროექტების მართვას უნდა მიექცეს ყურადღება. მიზანია გაზარდოს ადამიანები, რომლებიც მარკეტინგის მიმართულებით იქნებიან. პროექტების მართვა უნდა იყოს სავალდებულო. ფინანსები უნდა ისწავლებოდეს არა არჩევით, არამედ სავალდებულო საგნად. აღნიშნული მენეჯერს დასჭირდება, აღმასრულებელ დირექტორთან კომუნიკაციისთვისაც, პროგრამა სტრატეგიულ აზროვნებაზე უნდა იყოს გადასული. სტრატეგიული მენეჯმენტი ისწავლონ, რაც კომპანიის ახალ საფეხურზე გადაყვანის საშუალებას მისცემს. შესაბამისად, ფინანსები, პროექტების მართვა უნდა გაძლიერდეს.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი აზრი რაც ჩამოუყალიბდათ არის ის, რომ პროგრამის მიზნები, დასახელება და შიგთავსი ნაკლებად თავსებადია, ექპერტმა აღნიშნა, რომ კარგი საგნები აქვთ მარკეტინგის, მაგრამ, როცა საუბარია MBA-ზე შიგთავსი აკლია, ეს დანაკლისია და უნდა იყოს სტრატეგია, ფინანსები, ოპერაციები.
დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეთანხმებიან საბჭოს წევრის მოსაზრებას და გაითვალისწინებენ. ასევე, თვლიან, რომ ეს ნამდვილად გააძლიერებს პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0
საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გაძლიერება ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსებით როგორიცაა: კორპორაციათა ფინანსები, პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR. ამასთან, პროგრამაში არჩევითი კურსების სახით უკვე არის პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR სასწავლო კურსები და შესაბამისად საჭირო იქნება მათთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მინიჭება;
ბ) რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით დაკორექტირდეს კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი პროგრამაში და სილაბუსებში. მაგალითად, სასწავლო კურსში ,,სოციალური მედიის გამოყენება“ - წინაპირობად

სილაბუსში განსაზღრულია ,,ელექტრონული კომერცია“ (ამ სახელწოდებით სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული პროგრამაში), სასწავლო კურსი ,,ნეირომარკეტინგი“-სილაბუსში წინაპირობა არ არის განსაზღვრული;
გ) რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით (მაგ. მარკეტინგული ქეისები და ანალიზი, პროფესიული წერა და ა.შ.) გადაიხედოს სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების სილაბუსებში მონიშნული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკასთან.
დ) რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ბიზნესის სტრატეგია“ სახელწოდება კურსის შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს როგორც „სტრატეგიული მენეჯმენტი“;
ე) რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად იყოს წარმოდგენილი მისი დაფინანსების ყველა წყარო და გასაწევი ხარჯების სრული მოცულობა;

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მარკეტინგის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა